



საქართველოს სსრ.



საბჭ. რესპუბლიკის
34105

მუშათა და გლეხთა მთავრობის

6-29

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საბალხო კომისიათა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის განმცემბა

1933 წ. ივნისის 31.

№ 17

ტფილისი

1430

შ ი ნ ა რ ს ი

სახელმწიფო მმართველობა.

230. იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოხელეებზე საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მთავრობის მიერ რევოლუციონური კანონიერების თაობაზე გამოცემული დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

მრეწველობა.

231. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციის და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობისა და ამ კომიტეტის ბუღლების დამტკიცების შესახებ.

232. ეხება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა.

232. 1933 წლის თეთათვიანი კულტურების საცდელი გაღვივის ჩატარების შესახებ.

233. ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებში თეთათვიანი კულტურების საცდელი გაღვივის მოხსნის შესახებ.

234. მარცვლოვანი კულტურების მისავლიანობის გამორკვევის ვადების შესახებ.

235. „ინდუსტრიალური საბარემუშო კიის თსლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული 1928 წ. ივლისის 17-ის დადგენილების მე-4 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

236. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გარე-სამეშაოზე წასვლის კანონის განხორციელების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ვაჭრობა, მომარაგება.

237. 1933 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების დროის განმავლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი რეალიზაციის მოსპობის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

238. „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და საბინაო კოოპერაციის სისტემის სპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნვე სახსართა გაძლიერების თაობაზე“ გამოცემული 1933 წ. მაისის 27-ის დადგენილების დამატების შესახებ.

ფინანსები.

239. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამოსადების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

შ რ ო მ ა .

240. საკუთარი მეურნეობის მქონე მუშათა, მოსამსახურეთა და უმძლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა შრომის საგზაო ბეგარაში მონაწილეობის წესის შესახებ.

განათლება.

241. 1933 წლის შემადგომარე საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაკომპლექტების შესახებ.

განმრთელობის დაცვა.

242. „თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს მდებარე სონალის ტალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გაგზავნის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. მაისის 22-ის დადგენილების შესავალი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სახლის სამართალი.

243. წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა გაფუძვლისათვის და ამ გამართულო-

ბათა შემადგენელი კონებზე გატარებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

244. „კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1933 წლის მოსავლიდან, 1933 წლის იანვრის 19-ის კანონის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მარცვლელის ჩაბარების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულყოფილ კავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის ივნისის 20-ის დადგენილების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სასამართლო წყობილება და ხამართლის წარმოება.

245. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში გადასინჯვის წესის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

230. დადგენილება ც. ა. კ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოხსენებაზე საქართველოს ხს რესპუბლიკაში მთავრობის მიერ რევოლუციონური კანონიერების თაობაზე გამოცემული დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, მოისმინა რა მან იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილის ანხ. ხიხაძის მოხსენება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის, ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. ივლისის 2-ის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. ივლისის 22-ის, რევოლუციონური კანონიერების თაობაზე გამოცემული დადგენილებების, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებაში გატარების შესახებ, აღნიშნავს შემდეგს:

1) საქართველოს უზენაესი სასამართლოს და პროკურატურის ორგანოთა მიერ შემუშავებული და გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, რევოლუციონური კანონიერების გასამტკიცებლად მთავრობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობაში და მოსახლეობის მიერ საბჭოთა კანონების შესრულების უზრუნველსაყოფად; რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებს მიეცათ წინადადება სასწრაფო წესით განეხილათ ის საქმეები, რომლებიც შათ

უნდა გადასცემოდეთ დაარსებული განსაკუთრებული კომისიებიდან, ამ საქმეებზე საჩვენებელი პროცესების მოწყობით. სასამართლო ორგანოებს მიეკუთვნათ მითითებები და დირექტივები მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, მინიმუმ, ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ კანონის დარღვევებთან საკოლმეურნეო მშენებლობის, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა-განვითარების, მტკიცე დავალებათა მიცემის პრაქტიკის და სხვა დარგებში, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის დადგენილებაში „რევოლუციონური კანონიერების შესახებ“, და სხვ.

2) რევოლუციონური კანონიერების განმტკიცების საქმის ირგვლივ საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაციის მიზნით მთავრობის დადგენილება აღნიშნულ საკითხზე დამუშავებულ იქნა პროკურატურისა და გამოძიების ორგანოთა ფართო თათბირზე საბჭოთა აქტივის მონაწილეობით, როგორც ცენტრსა, ისე რაიონებში, ჩატარდა მოხსენებები პროლეტარიათა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, ამომჩვევლების კრებებზე სოფლად და სხვ.

3) საქართველოს რაიონების უმეტეს ნაწილში სარაიოხო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან ჩამოყალიბებულ იქნა განსაკუთრებული კომისიები რევოლუციონური კანონიერების დარღვევის შესახებ შეტანილი საჩივრების და განცხადებების განხილვა-შემოწმებისათვის, და როგორც ამ კომისიების ჩამოყალიბება, ისე მასთან საჩივრების შეტანის და განხილვის წესი ფართოდ ემცნო მოსახლეობას.

4) უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქალაქო საბჭომ გამოიჩინა ამ საკითხის შეუფასებლობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ რევოლუციონური კანონიერების დარღვევის შესახებ შეტანილი საჩივრების შემმოწმებელი კომისიები ამ რაიონებში და ქალაქებში ან სრულიად არ ჩამოყალიბებიათ (მცხეთა, ყვარელი, გურჯაანი), ან და, თუმცა ჩამოყალიბებიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, არსებითად კი არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება რევკანონიერების დარღვევის შემთხვევების გამოაშკარავებისათვის (ოზურგეთის, სამტრედიის, ხონის, ცაგერის, ორჯონიკიძის, დუშეთის, ბორჩალოს, ტოლოშის და ადიგენის რაიონები). ზოგიერთ რაიონში კი აღნიშნულ კომისიებს არაეფექტური მუშაობა არ უწარმოებიათ (თელავი, ტფილისი, წალენჯიხა).

5) ამის გარდა, როგორც იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად უყურადღებოდ იყო დატოვებული მთავრობის დირექტივები რევკანონიერების მდგომარეობის შემოწმების შესახებ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტობა, რომ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საქმოდ დიდმა რიცხვმა არ წარმოუდგინა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ცნობები აღნიშნული დირექტივების ცხოვრებაში გატარების შესახებ (აღბულაბ-მანგლისის, ყარაიას, ბაშკირეთის, ლუქსემბურგის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ხევის, თიანეთის, ჩხარის, ზესტა-

ფონის, ბალდადის, ეანის, ზობის, ონის, ამბროლაურის, ქვემო-სევანეთის და ზემო-სევანეთის რაიონლმასკომები).

6) ზემოაღნიშნული კომისიების, აგრეთვე ხელისუფლებას დასავლეთ-დასავლეთის (პროკურატურის, მ/გლგზ. ინსპექციის) მუშაობის შედეგად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოაშკარავებულ იქნა სახელმწიფო მმართველობის და სამეურნეო დარგში კანონების დარღვევის და პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკის დამახინჯების მრავალი შემთხვევა; ამასთან ზოგიერთ ასეთ დარღვევა-დამახინჯებებს აქვს მეტად სერიოზული მნიშვნელობა.

7) კანონის დარღვევის გამოაშკარავებულ შემთხვევებს შორის განსაკუთრებულად საყურადღებოა შემდეგი: ა) სახელმწიფო აპარატის საერთო მდგომარეობის ხაზით: სასოფლო საბჭოთა თავმჯდომარეების და მდივნების მიერ მშრომელი გლეხების და კოლმეურნეების განცხადებათა არა თავის დროზე განხილვა, მუშების და წითელარმიელთა განცხადებების უყურადღებოდ დატოვება, სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვის ბიუროკრატიული გაკვიანურება და სხვ.; ბ) სოფლად საშუალო გლეხების მიმართ კლასობრივი პოლიტიკის გატარების ხაზით: მშრომელი გლეხების არასწორად შეტანა კულაკების სიაში და მათი უკანონო დაბეგვრა ინდივიდუალური წესით სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, საშუალო გლეხების არა სწორად ჩარიცხვა შეძლებულთა კატეგორიაში და სხვ.; გ) კულაკების მიმართ კლასობრივი პოლიტიკის გატარების ხაზით: კულაკური და შეძლებული მეურნეობების არა სრული გამოაშკარავება, კულაკურ-შეძლებულ მეურნეობების შეფარელობა დამხადებათა გატარების დროს და სხვ.; დ) მტკიცე დავალების მიცემის ხაზით: საშუალო გლეხებისათვის ზორბლის ჩაბარებაზე მტკიცე დავალების მიცემა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიერ კოლმეურნეობების წევრებისათვის მტკიცე დავალებების მიცემა და ამასთან დაკავშირებით მათი ქონების გაყიდვა და სხვ.; ე) აღმინისტრაციული წესით ჯარიმის დადების ხაზით; ე) წითელარმიელების და მათი ოჯახების უფლების და შეღავათების დაცვის ხაზით: დაუდევარი და უყურადღებო მოპყრობა წითელარმიელებისა და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენის საქმისადმი, წითელარმიელის ოჯახის უკანონო დაბეგვრა სასოფლო საბჭოს დადგენილების საფუძველზე და სხვ.; ზ) საკოლმეურნეო მშენებლობის და საკოლმეურნეო ეპყრობის ხაზით: კოლმეურნეობებში საქონლის იძულებითი განსაზოგადობა; სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის უხეში ჩარევა კოლმეურნეობის მუშაობაში; კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ კოლმეურნეობაში განსაზოგადობული საქონლის გამოყენება (საქონლის გარეშე პირებისათვის გადაცემა, გაყიდვა); თ) რევოლუციონური წესრიგის დაცვის ხაზით: მოქალაქეთა უკანონო განხრევა და დაპატიმრება; მოქალაქეთა ცემა (წალკის, სტალინისის და ახალქალაქის რაიონები) და სხვა სახის აღმინისტრაციული თვითნებობა.

8) შემოწმების შედეგად მიღებული სურათი რევოლუციონური კანონიერების მდგომარეობისა მოწმობს იმას, რომ როგორც იუსტიციის, ისე ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებს (სარაიონო აღმასრულებელ კომიტე-

ტებს, საქალაქო საბჭოებს და სასოფლო საბჭოებს) ჯერ კიდევ არ გაქმნილია საკმარისი მუშაობა რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებისა და დანერგვისათვის და თუმცა სსრ კავშირის მთავრობის და ა/ც. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რეკანონიერების შესახებ გამოცემულ დადგენილებათა ცხოვრებაში ვატარება საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად შეიძლება დანაშაულებელად ჩაითვალოს, ეს სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ რეკანონიერების განმტკიცებისა და ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მისი ჩანერგვის ამოცანა იხსნება დღის წესრიგიდან; პირიქით, საჭიროა ხელისუფლების ყველა ორგანოს მხრივ, განსაკუთრებით კი სასამართლოს და პროკურატურის მხრივ, ხანგრძლივი და შეუწყვეტელი ბრძოლა ამ ამოცანის განხორციელებისათვის, ვინაიდან იგი არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ზემოაღნიშნულის საფუძველზე ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს, აგრეთვე ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო საბჭოს და სასოფლო საბჭოს აწარმოონ სისტემატური გადამწყვეტი ბრძოლა რევოლუციონური კანონიერების დარღვევასთან, განსაკუთრებით იმ დარგში, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 25-ის და ა/ც. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წლ. ივლისის 2-ის დადგენილებაში რევოლუციონური კანონიერების შესახებ; ამ მიზნით გამოყენებულ იქნენ სასოფლო-საზოგადოებრივი და საწარმო-საამხანაგო სასამართლოები, პროკურატურის დამხმარე უჯრედები და სხვ.; ამასთან სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს ევალებათ გაუწიონ აღნიშნულ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება და უზრუნველყონ მათი მუშაობის სისტემატური (ერთჯერ მაინც კვარტალში) შემოწმება.

2. რევოლუციონური კანონიერების საკითხების ირგვლივ მასური მუშაობის გაშლისა და მასების მობილიზაციის მიზნით მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს ფართოდ გაშალოს პროკურატურის დამხმარე უჯრედების ქსელი საწარმოებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვ.

3. აღნიშნოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლ. ივლისის 22-ის დადგენილების მე-5 მუხლის შესრულებლობა, და ამასთან დაკავშირებით წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს სისტემატურად მოისმინონ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მოხსენებები და მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამოხსენებანი რევოლუციონური კანონიერების ვატარებისათვის წარმოებული მუშაობის შესახებ.



4. დაევალოს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს:

ა) აწარმოონ კანონის დარღვევის შესახებ შემოსული საჩივრების განხილვას, დებების და საქმეების ცალკე აღრიცხვა ისეთ საკითხებზე, რაგორც სასამართლო მტკიცე დავლების მიცემა, განკარგულება, ჯარიმის დადება ადმინისტრაციული წესით, საკომპიუტერო მშენებლობა და ვაჭრობა; ბ) გაუწიონ განსაკუთრებული მეთვალყურეობა აღნიშნულ საქმეთა მოძრაობას, მიიღონ ღონისძიება ამ საქმეთა მსვლელობის ვადის მაქსიმალურად შემოკლებისა და საჭირო შემთხვევებში მათზე საჩვენებელი პროცესის მოწყობისათვის ფართო საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაციით.

5. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტში ყოველ ექვს თვეში ერთჯერ მოხსენების წარდგენა იმ მუშაობის შესახებ, რაც მას ჩაუტარებია წინა მუხლში აღნიშნულ დარღვევებთან ბრძოლისა და რეგოლაციონური კანონიერების განმტკიცება-დანერგვისათვის.

6. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს გააძლიეროს სახელმწიფო პროკურატურის ზედამხედველობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო და სასოფლო საბჭოების დადგენილებებზე ამ დადგენილებების გაპროტესტებით ისეთ შემთხვევაში, თუ გამოცემული არიან კანონის დარღვევით.

7. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების (სახელმწიფო, საკომპიუტერო, კოოპერატიული და სხვ.) ხელმძღვანელ ორგანოებს მიიღონ ღონისძიება სასოფლო საბჭოებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან არსებული სარევიზიო კომისიების მუშაობის გასაძლიერებლად და სახელმწიფო, საზოგადოებრივი ჯიხნების მტაცებლობის და რეგოლაციონური კანონიერების სხვაგვარი დარღვევის ყოველი შემთხვევა აცნობონ სათანადო სასამართლო და პროკურატურის ორგანოს.

8. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი სასამართლოს და პროკურატურის მომუშავეთა მატერიალური მდგომარეობის და კულტურულ-ყოფაცხოვრებითი მომსახურეობის გაუმჯობესებისათვის.

9. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოთა უზრუნველსაყოფად კვალიფიციური კადრებით მოაწყოს მოკლევადიანი კურსები იუსტიციის მუშაკთა მომზადებისა და გადამზადებისათვის.

10. გამოცდილების გაზიარების მიზნით შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში რეგოლაციონური კანონიერების ორგანოთა მომუშავეების სარაიონო და სარაიონოთაშორისო თათბირები.

11. დაევალოს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბეჭდვითს ორგანოებს პრესის ფურცლებზე სასამართლო, საგამომძიებლო და პროკურატურის ორგა-

ნოთა მუშაობის უფრო მეტად გაშუქება, ხოლო იუსტიციის ორგანოთა ბეჭდ-
ვითი სიტყვის მომუშავეებთან კავშირის განმტკიცება.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტაძე.

1933 წ. აპრილის 28.

ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

231. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციის და შინამრე-
წველობის კომიტეტის მოწუობისა და ამ კომიტეტის დებულების დამტკიცე-
ბის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან მოწუობილ იქნეს სარეწაო
კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი.

2. დამტკიცებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება ზემოაღნიშნული კომი-
ტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოო-
პერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის შესახებ.


1. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებობს სარეწაო კოოპე-
რაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი.

2. სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი მოქმედობს
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს თავ-
მჯდომარის ერთ ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით.

კომიტეტის წევრები არიან:

ა) სარეწაო კოოპერაციის საბჭოს — „სარეწაო საბჭოს“ — თავმჯდომარე;

ბ) პასუხისმგებელი წარმომადგენელი: საქართველოს სსრ სახელმწიფო სა-
გებულო კომისიისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მომარაგებისა,
იწათმოქმედებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, მძიმე მრეწველობისა
და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა საქართ-
ველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტე-



ბის დამზადების კომიტეტის რწმუნებულისა საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსი;

გ) სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საღაროების სრულიად საქართველოს კავშირის განგეობის თავმჯდომარე;

დ) კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.

კომიტეტის შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

შ. სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს ეკისრება:

ა) ხელი შეუწყოს შინამრეწველობის კოოპერირებას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ბ) დაუკავშიროს სარეწაო კოოპერაციის მუშაობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმას;

გ) განიხილოს სარეწაო კოოპერაციის სისტემის საორგანიზაციო მშენებლობისა და სარეწაოების კოლექტივიზაციის საკითხები და ღონისძიებანი;

დ) დაამყაროს ურთიერთობა სარეწაო კოოპერაციასა და სახელმწიფო მრეწველობასა და სხვა კოოპერატიულ სისტემებს შორის, კერძოდ—კოლექტიურ მეურნეობებთან და აგრეთვე გადაწყვიტოს სარეწაო კოოპერაციის ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში აღძრული სადაო საუწყებათაშორისო საკითხები;

ე) შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ მთავრობას დასამტკიცებლად სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის შესახები დადგენილებების პროექტები და აგრეთვე გამოსთქვას აზრი და მისცეს დისკენები სსრ კავშირისა, აკუსტრ-ისა და საქართველოს სსრ მთავრობათა იმ დადგენილებების პროექტების თაობაზე, რაც ებება სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობას;

ვ) განიხილოს საკითხები სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის იურიდიული მდგომარეობის შესახებ, კერძოდ—სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის ორგანოების გადასაბადებით დაბეგრის საკითხები;

ზ) იქონიოს საერთო მეთვალყურეობა სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის საკითხების შესახებ გამოცემული სსრ კავშირისა, აკუსტრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მთავრობათა დადგენილებების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აღსრულებისათვის.

ჟ. სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტს უფლება აქვს იქონიოს უშუალო ურთიერთი მიმართება საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან.

ბ. კომიტეტის მუშაობის წესს ამყარებს თვით კომიტეტი.

კომიტეტისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა ეკისრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

232. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს
სოფლის მეურნეობის

1933 წლის თავთავიანი კულტურების საცდელი გაღწევის ჩატარების შესახებ.

საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების იმ ცნობების შემოწმების მიზნით, თუ რა პირი უჩანს მოსავლას, და მარცვლეული კულტურების მოსავლის რაოდენობის გამოსარკვევად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ ძირითად სამარცვლეული კულტურების რაიონებში მარცვლეული კულტურების 1933 წლის მოსავლის ამოჩვეითი საცდელი გაღწევა საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებში, და ამ მუშაობის ჩატარებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მეთოდოლოგიური მეთვალყურეობით.

2. ადგილებზე საცდელი გაღწევის ჩატარების საქმისათვის კონკრეტული ხელმძღვანელობისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად ლეწვის ჩატარების დროის განმავლობაში მიმავრებულ იქნენ მომუშავენი ცენტრიდან, რისთვისაც წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოყოს 5 მომუშავე, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—3 მომუშავე და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადების კომიტეტის რწმუნებულს—1 მომუშავე, რომელნიც წარვლინებულ იქნენ, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმის თანახმად, რაიონებში აღნიშნული დაწესებულებების სახსრით.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ სათანადო ხელმძღვანელობით საცდელი გაღწევის ჩატარება, რისთვისაც თვითველ რაიონში მოწყობილ იქნეს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით, სპეციალური კომისია შემდეგი შედგენილობით: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი და პოლიტიკური განყოფილების უფროსი; აღნიშნულმა კომისიებმა უნდა მიამაგრონ თავიანთი პასუხმგებელი წარმომადგენელნი ლეწვის ჩატარების დროის განმავლობაში კოლექტიურ მეურნეობებს და სასოფლო საბჭოებს.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ საცდელი გაღწევის საშუალები სათანადო კადრებით და დაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

5. ლეწვით მოცულ იქნეს საღებავი კულტურებით ნათესი ფართობის 10%
თვითეული რაიონის საკოლმეურნეო სექტორში და 5% ინდივიდუალურ მეურ-
ნეობებში.

6. ლეწვა იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებსაც მომსახურების სა-
მანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, ჩატარებულ იქნეს ამ სადგურების
და კოლექტიური მეურნეობების ძალებით, რისთვისაც წინადადება მიეცეს საქ-
ტრაქტოროცენტრს—უზრუნველყოს ლეწვა სათანადო ხელმძღვანელობით; იმ
კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებსაც მომსახურების სამანქანო-სატრაქ-
ტორო სადგურები არ უწევენ, და აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეობებში ლე-
წვა ჩატარებულ იქნეს თვით მეურნეობების ძალებით, სპეციალური კომისიის
უშუალო მეთვალყურეობით და კონტროლით; ეს კომისია მოეწყობა მე-3 მუხლ-
ში აღნიშნული კომისიის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და შემდეგი შე-
დგენილობით: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და იმ სოფლის კოლექტიური მე-
ურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სადაც სწარმოებს საცდელი ლეწვა.

7. გალეწვა სწარმოებს მარცვლეული კულტურების მომწიფებისამებრ, ისე-
კი, რომ თავთავიანი კულტურების ლეწვა დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ.
ივლისის 5-ისა, ხოლო სიმინდის დაფშენა—არა უგვიანეს სექტემბრის 15-ისა,
საამისოდ გამოცემული ინსტრუქციის მტკიცე დაცვით.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კო-
მისარიატს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სა-
მეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—სისტემატური ინფორმაცია მიაწოდონ
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საცდელი ლეწვის ჩატარებისა
თვის წარმოებული მუშაობის მსვლელობისა და შედეგების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შოშახია.

1933 წ. ივლისის 1.

ტფლისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 152 №-ში 1933 წ. ივლისის 4.

233. დადგენილება ს.კ.ს.



ინდივიდუალურ საგლებო მეურნეობებში თავთავიანი კულტურების საცდელი გაღეწვის მოხსნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

I.

„1933 წლის თავთავიანი კულტურების საცდელი გაღეწვის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 1-ის დადგენილებით (კან. კრ. 1933 წ. № 17 მუხ. 232 „კომუნისტის“ 152 №-ი) დაწესებული საცდელი გაღეწვა ინდივიდუალურ საგლებო მეურნეობებში მოიხსნას.

II.

ამისდაშესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1933 წ. ივლისის 1-ის დადგენილების 1-ლი და მე-6 მუხლებიდან ამოიშალოს სიტყვები: „ინდივიდუალურ საგლებო მეურნეობებში“ და „აგრეთვე ინდივიდუალურ საგლებო მეურნეობებში“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. შვალაძის ინიციატივით.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. ივლისის 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 158 №-ში 1933 წ. ივლისის 11.

234. დადგენილება ს.კ.ს. და კ.კ.(ბ) ც.კ.

მარცვლელი კულტურების მოსავლიანობის გამორკვევის ვადების შესახებ.

„მარცვლელი კულტურების მოსავლიანობის გამორკვევის ვადების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის ივლისის 14-ის დადგენილების თავის დროზე და ზედმიწევნით განხორციელების მიზნით, რომელი გამორკვევაც უაღრესი მნიშვნელობის სახელმწიფო ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღდგენენ:

1. ყველა მარცვლელი კულტურის, გარდა სიმინდისა, 1933 წლის მოსავლიანობის რაოდენობის გამორკვევის საბოლოო და მტკიცე ვადად საქართველოს

სსრ თვითმფლვი საადმინისტრაციო რაიონისათვის დადგენილ იქნეს აგვისტოს 1-ლი.

სიმინდის და მზუჭუჭკრიტის მოსავლიანობის გამორკვევის ვადები განისაზღვროს ცალკე.

2. დავეალოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს— მოაწყონ ორი დღის ვადაზე მოსავლიანობის გამომრკვევი სპეციალური სარაიონო კომისიები სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის საფუძველზე და დაუყოვნებლივ შეუდგენენ მუშაობას— ისე, რომ მთელი რაიონის შესახები მასალა წარედგინოს მოსავლიანობის გამომრკვევ სარაიონთაშორისო სახელმწიფო კომისიებს არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 25-ისა.

3. წინადადება მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა თვითმფლვი კოლექტიური მეურნეობის მოსავლის ცალკე გამორკვევის მიზნით და ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარენი, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარენი და საკოლმეურნეო აქტივის საუკეთესო წარმომადგენელი; ეს მუშაობა წარმოებულ უნდა იქნეს ისეთი ვარაუდით, რომ არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 25-ისა სარაიონო კომისიის წარედგინოს სათანადო აქტები, რითაც გამორკვეულ იქნება იმ კოლექტიური მეურნეობების მოსავლიანობა, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ (სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის მე-10 და მე-11 მუხლის თანახმად).

4. მოსავლიანობის გამორკვევა იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ, დაეკისროს სპეციალურ სარაიონო კომისიებს; თანაც ამ მუშაობაში აუცილებლად ჩაბმულ უნდა იქნენ კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარენი, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარენი და საკოლმეურნეო აქტივის საუკეთესო წარმომადგენელი.

5. ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს საცდელ გაღწევას, როგორც საუკეთესო ფორმას მოსავლიანობის გამორკვევისას, და რადგანაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშაობის დაჩქარება მოსავლიანობის გამორკვევისას, საცდელი გაღწევის შედეგების შემოწმებისა და საკონტროლო ოპონისებებთან ჩატარებისათვის რაიონში მოსავლიანობის სისწორით და ზედმიწევნით გამორკვევის მიზნით, ვაიგზავნონ რაიონებში შემდეგი ამხანაგები: 1) თბილავა—სტალინისში, 2) მდივანი (ჯანსახკომი) გორში, 3) ჩილოჩავა—ბორჯომში, 4) ბეგინიშვილი—გურჯაანში, 5) მესხი ვ.—სიღნაღში, 6) რუხაძე ა.—თელავში, 7) მიროტაძე—ყვარელში, 8) კულაევი—ლაგოდეხში, 9) ჩახვაძე—ქასპში, 10) კუკულდავა—ტფილისის სავარეუბნო რაიონში, 11) ხარაბაძე—ყარაიაში, 12) ხუცი-

შვილი (სახ. საგ. კომ.)—ბორჩალოში, 13) ეჯოშვილი—დუშეთში, 14) თუნიშვილი—აღბულაბ-მანგლისში, 15) გავაშელი—საგარეჯოში, 16) უნგვაძე—საგარეჯოში, 17) ზირაქიშვილი—ლუქსემბურგში, 18) ოდიშვილი—საბრეგოში.

დაევალოს აღნიშნულ ამხანაგებს—დაამთავრონ მოსაავლიანობის გამომრკვევი სარაიონო კომისიების მუშაობა არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 27-ისა და თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით წარუდგინონ ყველა საჭირო მასალა მოსაავლიანობის გამომრკვევი სარაიონთაშორისო სახელმწიფო კომისიას არა უგვიანეს ა. წ. ივლისის 28-ისა.

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს მისცენ სარაიონო კომისიებს მიმოსვლის საშუალებანი და გაუწიონ მათ ყოველგვარი დახმარება მუშაობაში.

7. დაევალოს ცენტრალური და სარაიონო გაზეთების რედაქციებს უზრუნველყონ იმ მუშაობის გაშუქება, რაც წარმოებულ იქნება მოსაავლიანობის გამომრკვევისათვის თვითველ კოლექტიურ მეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და სასოფლო საბჭოში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიაკცევენ ყველა ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას იმას, რომ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მარცვლელული კულტურების 1932 წლის რეალური მოსაავლის ზედმიწევნით გამომრკვევას, და რომ საჭიროა ულმობელი ბრძოლა მოსაავლის პირის შემცირების ყოველგვარ ცდასთან, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, და მოითხოვენ მათგან ნამდვილად შეუწყონ ხელი მოსაავლის გამომრკვევი სახელმწიფო სარაიონთაშორისო კომისიების მუშაობას და ბრძოლას მოსაავლის სისწორით და კეთილსინდისიერად გამომრკვევისათვის; ამასთანავე, მკვეთრი ზემოქმედება უნდა მოახდინონ სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებზე, რათა მათ თავის დროზე წაარადგინონ სრული სააღრიცხვო მასალები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ფანცხავა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის. მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. ივლისის 17.

ტფილისი.

გამომკვევებულია გაზ. „კომუნისტის“ 167 №-ში 1933 წ. ივლისის 18.

235. დადგენილება ს. კ. ს.



„ინდუსტრიალური სააბრეშუმო კიის თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის თაობაზე“, გამოცემული 1928 წ. ივლისის 17-ის დადგენილების მე-4 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-4 მუხლი 1928 წ. ივლისის 17-ის დადგენილებისა „ინდუსტრიალური სააბრეშუმო კიის თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 108) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას: თანამდებობის პირთათვის—როგორც თანამდებობრივი დანაშაულისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად, ხოლო კერძო პირთათვის—სადმინისტრაციო წესით—ჯარიმას ას მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ერთ თვემდე, რაც დაიდება ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულების წესების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 235)“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. ივლისის 11.

ტფილისი.

236. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გარე-სამუშაოზე წახვლის კანონის განხორციელების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

„კოლექტიური მეურნეობებიდან გარე-სამუშაოზე წახვლის წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 75 №-ი) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 18-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გარე-სამუშაოზე წახვლის კანონის განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 № ი, მუხ. 174).

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. ს.ს.რ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. ივლისის 11.

ტფილისი.

ვეპროგა. მომარაგება

237. დადგენილება ს.ძ.ს.



1933 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების დროის განმავლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი რეალიზაციის მოსპობის შესახებ.

1933 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების დროის განმავლობაში თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის აკრძალვის შესახებ* გამოცემული ა/კ.ფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 16-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. მოისპოს 1933 წ. აგვისტოს 1-დან, თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფოებრივი გეგმის საბოლოო აღსრულებამდე, თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

შენიშვნა. ეს წესი არა ვრცელდება „სოიუზტაბაკიროს“ ორგანოებზე.

2. თამბაქოს ნედლეულის ნებადაურთველი ყიდვა-გაყიდვისათვის დამნაშავე პირნი ჰასუსს აგებენ: თანამდებობის პირნი—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114 და 116 მუხლების თანახმად, ხოლო კერძო პირნი—იმევე კოდექსის 142 მუხლის თანახმად.

3. დაველოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს—უზრუნველყონ, რათა არ სწარმოებდეს თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი რეალიზაცია 1933 წლის მოსავლის თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფოებრივი გეგმის აღსრულების პერიოდში.

4. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მისცეს თავის ქვემდებარე ორგანოებს დირექტივა სასწრაფოდ განიხილონ საქმეები ამა დადგენილების დარღვევის შესახებ.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ საცესებით ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ფანცხავა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე გ. თათიშვილი.

1933 წ. ივლისის 21.

ტფილისი.

გამოკვეთებულია გაზ. „კომუნისტის“ 168 №-ში 1933 წ. ივლისის 23.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა


 უკრაინული
 ბიულეტენი

238. დადგენილება ს.კ.ს.

„კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების თაობაზე“ გამოცემული 1933 წ. მაისის 27-ის დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

I.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წ. 1933 მაისის 27-ის დადგენილებას „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14 №-ი, მუხ. 203) დამატოს ¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„1¹. დაწესებულ იქნეს, რომ ანგარიშის გასწორება კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციებსა და მათთვის შეკვეთების მიმცემ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის უნდა სწარმოებდეს საფასურის გეგმიანი გადახდით წინდაწინვე მომავალი 15—30 დღის ხარჯების რაოდენობით“.

II

წინადადება მიეკეს ზემოაღნიშნულ სამშ. კებლო ორგანიზაციებს და შეკვეთ სამეურნეო ორგანოებს—შეიტანონ ერთი დეკადის ვადაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულებებში დამატებითი პირობები, რაც უზრუნველყოფს ნარდი სამუშაოს ღირებულების 5⁰/₀-იანი უკუდაუბრუნებელი ანარიცხის თავის დროზე შეტანას სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გასაძლიერებლად, გეგმიანი გადახდის ბაზით ურთიერთ შორის ანგარიშის გასწორების წესის დამყარებას და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ სახსართა (5⁰/₀-იანი ანარიცხი და გეგმური გადასახდელი) მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ-ს ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შოშიაია.

1933 წ. ივლისის 5.

ტფილისი.

უნიტარული

239. დადგენილება ს.კ.ს.



„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამოსაღების ჩატარების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქიროებისათვის ქალაქებსა და სოფლებში 1933 წელს გამოსაღების ჩატარების შესახებ“ გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-6 №-ი, მუხ. 88) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[3. გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:...]

„ბ) ის პირი, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით, და აგრეთვე შრომის გმირი“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შოშავია.

1933 წ. ივლისის 16.

ტფილისი.

შ რ მ ა

240. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საკუთარი მეურნეობის მქონე მუშათა, მოსამსახურეთა და უმალღესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა შრომის საგზაო ბეგარაში მონაწილეობის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა მუდმივი მუშები და მოსამსახურეები და აგრეთვე უმალღესი და საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეები გაიწვევიან შრომის საგზაო ბეგარაზე, რაც გათვალისწინებულია ამ ბეგარის დებულებით (იქსტსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 1-8; 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16 და 17), მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს მათ აქვთ საკუთარი მეურნეობა, უკეთეს ისინი ირიცხებიან საგლეხო კომლის წევრებად ან ითვლებიან კოლექტიური მეურნეობის წევრებად.

2. წინა მუხლში აღნიშნულ პირთ, ნაცვლად პირადი შრომისა მოსაწილეობისა საგზაო საშუალებებში, შეაქვთ ცულადი გაღასახდელი.

საგზაო სამუშაოებში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად შესატანი ფულადი გადასახდელი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არ შეიძლება ძირითად ბოძდეს მუშისა და მოსამსახურის სამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს ან მოსწავლის თვიური სტიპენდიის 1/24 შრომის საგზაო ბეგარის თვიური დღისათვის, რაც მათზე მოდის.

II.

ამა დადგენილების 1-ლ კარში აღნიშნულისამებრ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 22; მე-2 №-ი, მუხ. 43):

ა. მე-2 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ის მუდმივი მუშები და მოსამსახურეები და უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ საკუთარი მეურნეობა (აგრეთვე ისინიც, ვინც საგლებო კომლის წევრად ირიცხება ან კოლექტიური მეურნეობის წევრია), გაიწვევიან საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისათვის ისე, რომ მათ შრომითი ბეგარა შეეცვლებათ სათანადო ფულადი შენატანით“.

ბ. მე-7 მუხლის „დ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[7. შრომის საგზაო ბეგარა-ვალდებულ პირთა და მეურნეობათათვის საგზაო მუშაობაში მათი პირადი შრომით მონაწილეობისა და საგზაო ორგანოების განკარგულებაში მუშა-საქონლის და სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემის მოვალეობის ფულადი შენატანით შეცვლის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:...]]

„დ) შრომის საგზაო ბეგარის ნატურალური ფორმის ფულადი შენატანით შეცვლის ნორმებს აწესებენ ადგილობრივი საბჭოები, ადგილობრივ საგზაო ორგანოებთან შეთანხმებით, იმისდამიხედვით, თუ რა საშუალო საბაზრო ფასებია მუშა-ხელზე და კაპანზიდვის ტრანსპორტზე სათანადო რაიონში მუშაობის წარმოების დროს, და რა მოცულობისაა უწყებულ პირთა და მეურნეობათათვის დაკისრებული სამუშაოები საგანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით; ამასთანავე, საგზაო სამუშაოებში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა მუდმივი მუშებისა და მოსამსახურეებისა და აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თვითფული დღისათვის, რაც მათზე მოდის, არ უნდა აღემატებოდეს მუშისა და მოსამსახურის სამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს ან მოსწავლის თვიური სტიპენდიის 1/24-ს“.

III.



სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: ა) 1932 წ. ნოემბრის 22-ისა—„ზრომის საგზაო ბეგარაში პირადი ზრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შესატანი ფულადი გადასახადის რაოდენობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 22) და ბ) 1932 წ. დეკემბრის 28-ისა—„ზრომის საგზაო ბეგარაში პირადი ზრომით მონაწილეობის ნაცვლად ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახადების რაოდენობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 4) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 172 №-ში 1933 წ. ივლისის 28.

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

241. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წლის შემოდგომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაკომპლექტების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების მოსწავლეთა კონტინგენტის თეორიული მომზადების დონის ამაღლებისა, ამ სასწავლებლების პროლეტარული და საკოლმეურნეო კადრებით უზრუნველყოფისა, შემოდგომაზე ამ სასწავლებლების მოსწავლეებით დაკომპლექტების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და 1933/1934 სასწავლო წელს მეცადინეობის თავის დროზე გაშლის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მისაღები გამოცდები მათემატიკისა, ფიზიკისა, ქიმიისა, საზოგადოებათმცოდნეობისა და დედა-ენაში ყველა, გამოუცლებლივ, იმ პირისათვის, ვინც 1933 წელს სასწავლებელში შედის, დაწესებულ იქნეს;

ა) უმაღლეს სასწავლებელში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შემსვლელისათვის—მუშათა ფაქულტეტის კურსის მოცულობით;

ბ) ტექნიკუმში შემსვლელისათვის—ზრომის სკოლის შეიდწლედის კურსის მოცულობით.

2. მოსწავლეებით სასწავლებლების დაკომპლექტებისათვის მოწყობილ იქნეს ამ სასწავლებლებთან მიმღები კომისიები—სასწავლებლის დირექტორის თავმჯდომარეობით და სათანადო უწყებებისა, პარტიული და საპროფკავშირო

ორგანიზაციების წარმომადგენელთა და გამომცდელი კომისიის თავმჯდომარის შედგენილობით.

კანდიდატებს სასწავლებელში საბოლოოდ ჩარიცხვას სასწავლებლის დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალურად სისწორით დაკომპლექტებისათვის.

3. მისაღები გამოცდების ჩასატარებლად სასწავლებლებთან მოწყობილ იქნეს გამომცდელი კომისიები სასწავლებლის დირექტორის მოადგილის (სასწავლო ნაწილის დარგში) თავმჯდომარეობით და სათანადო დისციპლინათა კათედრების ხელმძღვანელთა შედგენილობით.

4. უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებასთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების განსახილველად მოწყობილ იქნეს იმ სახალხო კომისარიატებთან და ცენტრალურ დაწესებულებებთან, რომელთა გამგებლობაშია ეს სასწავლებლებია, სააპელაციო კომისიები სათანადო უწყების კადრების განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, ალკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთა და სათანადო სასწავლებლის დირექტორის შედგენილობით.

5. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას, რომლის გამგებლობაშია სასწავლებლებია, ჩაატაროს უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებით დაკომპლექტება სრული შესაბამისობით დაკომპლექტების იმ კონტინგენტებთან, რაც დამტკიცებულია მთავრობის მიერ 1933/1934 სასწავლო წლისთვის.

შენიშვნა. 1933/1934 სასწავლო წელს მოსწავლეებით სასწავლებლების დაკომპლექტების საკონტროლო ციფრებით ვათვალისწინებული კონტინგენტები შემცირებულ იქნეს:

1) სამშენებლო ინსტიტუტის ბაზით—150 კაცამდე;

2) სამთო-ქიმიური ინსტიტუტის ბაზით—150 კაცამდე (აქედან 30 კაცი საქაშადო-სავემოო სპეციალობისა).

6. 1933/1934 სასწავლო წელს მოსწავლეებით უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების დროს დაბრონირებულ იქნეს საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათათვის და კულტურულად ჩამორჩენილი რაიონებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი ორგანიზაციისათვის ადგილების განსაზღვრული რაოდენობა, ამასთანავე დართული განრიგების მიხედვით (იხ. დანართი).

7. დაწესებულ იქნეს, რომ მე-9 მუხლში აღნიშნული დაბრონირების ანგარიშის კვალობაზე უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მივლინებულნი, აგრეთვე მუშა-დამკვრელნი და მათი შვილები და უწყებელი სასწავლებლის სამეცნიერო მ-მუშავეთა შვილები, რომელთაც დიპირეს მისაღები გამოცდები, მიღებულ უნდა იქნენ უცილობლად.

8. 1933/1934 სასწავლო წელს მოსწავლეებით სასწავლებლებში დაჯამებული პლექტებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ნორმები სოციალური კატეგორიების კვალობაზე:

ა) ინდუსტრიალურ უმაღლეს სასწავლებლებსათვის: მუშები, მუშათა შვილები და სპეციალისტთა და სამეცნიერო მომუშავეთა შვილები—80%, კოლმეურნეები—10%, ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—5% და მოსახურებელი და მათი შვილები—5%;

ბ) სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლებსათვის: მუშები, მოჯამაგირეები და მათი შვილები, აგრეთვე სპეციალისტთა და სამეცნიერო მომუშავეთა შვილები—50%, კოლმეურნეები—30%, ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—15% და მოსამსახურეები და მათი შვილები—5%;

გ) ინდუსტრიალური ტექნიკუმებისათვის: მუშები, მოჯამაგირეები და მათი შვილები—60%, კოლმეურნეები—25%, ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—10%, სპეციალისტთა, სამეცნიერო მომუშავეთა და პედაგოგთა შვილები—10% და მოსამსახურეები და მათი შვილები—5%;

დ) სხვა ტექნიკუმებისათვის: მუშები, მოჯამაგირეები, კოლმეურნეები და მათი შვილები—85%, ინდივიდუალური მშრომელი გლეხები—10% და მოსამსახურეები და მათი შვილები—5%.

9. დაწესებულ იქნეს, რომ 1933/1934 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულთა შორის ქალები უნდა შეადგენდნენ არა ნაკლებ 25%-ისა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—არა ნაკლებ 30%-ისა, სამედიცინო ინსტიტუტში—არა ნაკლებ 50%-ისა).

10. დაკომპლექტების ჩატარებისათვის. დადგენილ იქნეს შემდეგი ვადები:

ა) უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში: ივლისის 10-დან აგვისტოს 1-მდე—განცხადებათა მიღება, ხოლო აგვისტოს 5-დან აგვისტოს 20-მდე მისაღები—გამოცდები;

ბ) ტექნიკუმებში: აგვისტოს 1-დან აგვისტოს 10-მდე—განცხადებათა მიღება, ხოლო აგვისტოს 15-დან აგვისტოს 25-მდე—მისაღები გამოცდები.

11. წინადადება მიეცეს ყველა იმ სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას, რომლის გამგებლობაშიაც სასწავლებლებია, უზრუნველყოს ამ სასწავლებლებში მეცადინეობის დაწყება 1933 წ. სექტემბრის 1-დან.

12. დაევალოს იმ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს, რომელთა გამგებლობაშიაც სასწავლებლებია, გამოაქვეყნონ იმ სპეციალობათა მოკლე აღწერილობა, რასაც ასწავლის სათანადო სასწავლებელი, და აგრეთვე ამ სასწავლებელში მიღების პირობები.

13. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, და მიაწვდინოს რაიონებამდე პროგრამები და მეთოდური მინიშნებები მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. შვალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. ივლისის 8.

ტფილისი.



გ ა ნ რ ი ზ ე ბ ა

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

ადგილებისა უმაღლესი სახრავლებლების საშემოდგომო ანგარიშში დაკომპლექტების

რაიონების და ორგანიზაციების სახელწოდება.		სას.-სამ. ინსტიტ.	ზოო-მეტ. ინსტიტ.	სამშენებლო ინსტიტ.	სამთო-კომ. ინსტიტ.	სამედიცინო ინსტიტ.
აბაღთაბაძის რაიონი *		2	2	1	1	2
ბოჯდანიოვის		—	2	1	1	2
აბაღთაბაძის		2	3	2	2	2
ადიგენის		1	2	1	1	2
ტოლოშის		1	2	1	1	1
ყარაიას		2	2	1	1	2
ბორჯაღას		3	1	1	1	2
ლექსეზურგის		2	2	1	1	2
წალკის		1	5	1	1	2
ბაშკირეთის		1	3	1	1	2
დუშეთის		1	4	1	1	3
ფრწო-თიანეთის		2	4	1	1	2
ხევის		1	4	2	1	2
ხემო-სვანეთის		2	5	3	3	3
ქვემო-სვანეთის		2	3	2	2	2
აფხაზეთის ასსრ		4	7	5	5	6
აჭარისტანიის		5	3	7	7	5
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი		4	5	3	3	3
არმია		4	5	3	3	5
კომპარტიის (ბ) ც. კ.		5	5	4	4	3
ა. ლ. კ. კ. ც. კ.		4	4	3	3	2
კომ. პარ. (ბ) ტფ. კომ.		3	3	4	4	2
პროლეტკავშირთა ც. კ.		3	3	3	3	3
		55	87	52	50	60

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 158 №-ში 1933 წ. ივლისის 11.

ჯანმრთელობის დაცვა

242. დადგენილება ს.კ.ს.



„თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს მედბერსონალის ქალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გაგზავნის თაობაზე“ გამოცემული 1931 წ. მაისის 22-ის დადგენილების შესავალი ნაწილის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

„თესვისა და მოსავლის აკრეფის დროს მედბერსონალის ქალაქებიდან საბჭოთა მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლმეურნეობების რაიონებში დროებით გაგზავნის შესახებ“ გამოცემული 1931 წ. მაისის 22-ის დადგენილების შესავალი ნაწილიდან (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 147) ამოშლილ იქნეს სიტყვები „ხუთწლედის მესამე წლის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების საქმეში“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. ივლისის 11.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

243. დადგენილება ც. ა. კ.

წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა გაფუჭებისათვის და ამ გამართულობათა შემადგენელი ქონების გატაცებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

რათა აღკვეთილ იქნეს კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის ყოველგვარი ცდა მიანებლური აქტების ჩასადენად წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა მიმართ, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მუშაობის (მორწყვის) პერიოდში, და აგრეთვე რათა ყოველი ღონისძიებით დაკულ იქნეს ეს ნაგებობანი და გამართულობანი განზრახი გაფუჭებისა, გატაცებისა და სხვა მიანებელი მოქმედებისაგან, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღდგენს:

განმარტებულ იქნეს: ა) რომ განზრახ ყოველგვარი ისეთი მოქმედების ჩადენა, რაც გამოიწვევს წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა მუშაობის შეჩერებას ან დაარღვევს მუშაობის ნორმალურ მსვლელობას, თუნდაც ეს მოქმედება დაკავშირებული არ იყოს ამ ნაგებობათა და გამართულობათა განადგურებასა და გაფუჭებასთან, დევნილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სისხლის

სამართლის კოდექსის 79¹ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილის ^{ინტერქტუა} (ბ) რომ წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა განზრახ დაზიანება, რამაც არ გამოიწვია მათი ნორმალური მუშაობის დარღვევა, ხოლო ^{რამაც არ გამოიწვია მათი ნორმალური მუშაობის დარღვევა} ნილია სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ჩაშლის მიზნით, ნათესაობის ^{გამოიწვია მათი ნორმალური მუშაობის დარღვევა} ან სხვა კონტრრევოლუციონური მიზნით, აგრეთვე ამა დადგენილების „ბ“ პუნქტში აღნიშნული მოქმედების ჩადენა იმავე კონტრრევოლუციონური მიზნით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58² მუხლის თანახმად; გ) რომ წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა ნაწილებისა და მათთვის მომსახურების გამწვევი სხვა ქონების გატაცება დევნილ უნდა იქნეს „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360); დ) რომ წყალსამეურნეო ნაგებობათა და გამართულობათა განზრახ დაზიანება, რამაც არ გამოიწვია მათი ნორმალური მუშაობის დარღვევა, და რაც არ შეიცავს ამა დადგენილების წინა პუნქტში აღნიშნულ ნიშნებს, დევნილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78 მუხლის თანახმად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიენის მგ. ვარამაშვილი.

1933 ივლისის 10.
ტფილისი.

244. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1933 წლის მოსავლიდან, 1933 წლის იანვრის 19-ის კანონის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის ივნისის 20-ის დადგენილების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. თანამდებობის პირნი, მათ შორის კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარენი და წევრნი, „კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ 1933 წლის მოსავლიდან, 1933 წლის იანვრის 19-ის კანონის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის

1933 წ. ივნისის 20-ის დადგენილებების 1-ლი მუხლის დარღვევისათვის (სსრკ-ის ცენ. აღმ. კომ. „იზვესტიას“ 155 №-ი, 1933 წ. ივნისის 21-ისა), ე. ი. პურეულის ნებადაურთველი ყიდვა-გაყიდვის წარმოებისათვის სახელმწიფოს განკარგულებაში მარცვლეულის ჩაბარების გეგმის აღსრულების პერიოდში, მიცემულ უწყვეტ ექვსენ პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114-116 მუხლების თანახმად და იმავე კოდექსის 58⁷ ან 58¹⁴ მუხლების თანახმად, უკეთეს არის კონტრრევოლუციონური მოქმედების ნიშნები, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლებით.

2. სხვა პირნი ზემოაღნიშნული კანონის დარღვევისათვის მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხ. თანახმად.

3. უკანონო ყიდვა-გაყიდვის ობიექტები ზემოაღნიშნულ შემთხვევებში კონფისკებულ უნდა იქნეს და გადაეცეს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას მტკიცე ფასად.

4. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს სამი დღის ვადაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1933 წ. ივლისის 10.

ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

245. დადგენილება ს.კ.ს.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოში ვადანინჯვის წესის შესახებ.

• საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო აღგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო აწარმოებს მასთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა ვადანინჯვის ზედამხედველობის წესით (სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მე-12 მუხ.—სსრკ კან. კრ. 1931 წ. 26 №-ი, მუხ. 203, 31 №-ი, მუხ. 239) მხოლოდ სახალხო კომისარიატებისა და იმ ცენტრალური დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და პირების წარდგენით, რომელთაც უფლება აქვთ უშუალოდ შეიტანონ საკითხები საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოში.

2. მთავრობის სპეციალური დადგენილებებისამებრ სახელმწიფო არბიტრაჟის ფუნქციებით აღჭურვილი ორგანოების ვადანინჯვით გადაწყვეტილებათა გა-

დასინჯვას აწარმოებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დასე-
ბული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი როგორც დაინტერესებულ
მხარეთა საჩივრების გამო, ისე სარევიზიო წესით; ამასთანავე, უკეთეს აღნიშ-
ნული ორგანოების გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, მთავარი არბიტრი ვიდუ-
სცემს საქმეს ზელახალი განხილვისათვის, კუთვნილებისამებრ, სახელმწიფო ან
საუწყებო არბიტრაჟის სათანადო ორგანოს.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომაზია.

1933 წ. ივლისის 8.
ტფილისი.



ფანი 40 კაპ.